საქართველოს გარემოს
დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების სამინისტრო

დაცული ტერიტორიების სააგენტო

გულუას ქ. № 6
0114, თბილისი, საქართველო

კონტაქტი: (+995 32) 753887
(+995 77) 907272

ელ-ფოსტა: info@apa.gov.ge

www.apa.gov.ge



იმოგზაურეთ
ჩვენთან ერთად!

საქართველოს დაცული ტერიტორიები



ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები
(ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი და ნეძვის აღკვეთილი)

/შეიქმნა 1820 წ./

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი პირველი ეროვნული პარკია კავკასიაში და ფართობის მიხედვით ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში (61235ჰა). იგი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, აჭარა-იმერეთის ქედის აღმოსავლეთ მონაკვეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე. 2007 წლის 1 თებერვალს პარკი გაწევრიანდა ევროპის დაცული ტერიტორიების PAN-Parks-ების ქსელში, რაც დაცული ტერიტორიის უმაღლეს დონეზე დაცვისა და მდგრადი ტურიზმის განვითარების გარანტია.

- *მანძილი: ქ. თბილისიდან ეროვნულ პარკამდე 160 კმ.*
- *დრო: ავტომობილით 2,5 სთ; მატარებლით 3სთ.*

აქტივობები:

- *ცხენოსნობა*
- *ლაშქრობა*

ტურისტული მარშრუტები:

➢ „ნიკოლოზ რომანოვის ბილიკი“

/41 კმ, 3 დღე, სალაშქრო და საცხენოსნო/

ღამისთევა - ტურისტულ თავშესაფრებში: „ლომის მთა“ და „სახვლარი“.

მარშუტი კვეთს ეროვნულ პარკს ლიკანიდან (ბორ-

ჯომის რაიონი) მარელისამდე (ხარაგაულის რაიონი).

➢ „წმინდა ანდრია პირველწოდებულის ბილიკი“

/49- 51 კმ, 4 დღე, სალაშქრო და საცხენოსნო/

ღამისთევა - ამარათის, სახვლარის ტურისტულ თავშესაფარში ან კარვებში.

მოგზაურობა ხორციელდება აწყურიდან მარელისამდე (ან პირიქით); მარშუტი კვეთს ეროვნული პარკის უმაღლეს მწვერვალს - მთა სამეცხვარეოს (2642მ).

➢ „პანორამების ბილიკი“

/16 კმ, 6 სთ, სალაშქრო და საცხენოსნო/

ღამისთევა - ამარათის ტურისტულ თავშესაფარში. ეს არის რთული, წრიული ბილიკი ულამაზესი ხედებით.

➢ „ხელუხლებელი ტყის ბილიკი“

/12-13 კმ, 6 სთ, სალაშქრო/

ღამისთევა - კარვებში (ნუნისის მცველთა საგუშაგოსთან). განსაკუთრებით სასიამონოა მოგზაურობა გაზაფხულზე, მაისში, დეკის ყვავილობის დაწყების დროს.

➢ „ზეკარის უღელტეხილის ბილიკი“

/9-10კმ, 5 სთ, სალაშქრო/

ღამისთევა — დიდმაღალას ტურისტულ თავშესაფარში. მარშრუტი გრძელდება აბასთუმნის მცველთა საგუშაგოდან დიდმაღალას ტურისტულ თავშესაფრამდე (ადიგენის რაიონი). ეროვნული პარკის გადაკვეთა შესაძლებელია მთის ველოსიპედით ზეკარის უღელტეხილის გავლით საირმემდე.

➢ „ნაკვალევის ბილიკი“

/12-13 კმ, 6 სთ, სალაშქრო/

ეს არის ერთდღიანი მარშრუტი მრავალფეროვან ბუნებაში ლიკანიდან ქვაბისხევამდე (ბორჯომის რაიონი).

➢ ეროვნული პარკის „საინფორმაციო ბილიკი“

/3 კმ, 1,5 სთ/

ბილიკის გავლისას შეხვდებით 9 საინფორმაციო სტენდს – ხის ინსტალაციებს სხვადასხვა ეკოსაგანმანათლებლო საკითხებზე.

➢ „მეღრუკის ხეობა“

/5, 5 კმ, 3 სთ, საცხენოსნო/

ეს არის წრიული ბილიკი დიდი სახვლარის ტურისტული თავშესაფრიდან მდინარე მეღრუკის ხეობის გავლით.

➢ „მწყემსების ბილიკი“

/14 კმ, 5 სთ, სალაშქრო და საცხენოსნო/

ბილიკი მიუყვება შავ სერს და აკავშირებს ამარათისა და ლომის მთის ტურისტულ თავშესაფრებს.

ტურისტული თავშესაფრები არის 12 ადგილიანი.

ვიზიტორს ეროვნული პარკისა და მის დამხმარე ზონაში შეუძლია, მოინახულოს მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლი: მწვანე ეკლესია (ჩითახევი) (IX-Xს-ს); ლიკანის მონასტერი – სამეკლესიანი ბაზილიკა (VII-IXს.ს); ვარძია-გამოქვაბულის კომპლექსი (VIს), საფარა — დარბაზული ეკლესია (Xს. ახალციხის რაიონი).

ვიზიტისთვის საუკეთესო სეზონია გაზაფხული-ზაფხული - ადრეული შემოდგომა (მაისიდან ოქტომბრის ბოლომდე).

რეგიონის სასტუმროები:

- „მარელისი“, სოფ. მარელისი, შესაძლებელია პარკინგი. კონტაქტი: 899 951 421;
- ”Nick and George“, სოფ. აწყური, შესაძლებელია პარკინგი, საუნა. კონტაქტი: 855 259 355;
- „ბორჯომის ხეობა“, ქ. ბორჯომი, რუსთაველის №107ა, ხელმისაწვდომია ინტერნეტი, საკოფერენციო დარბაზი, შესაძლებელია პარკინგი. კონტაქტი: 893 500 020;
- „კაპა“, დაბა აბასთუმანი, ხელმისაწვდომია ინტერნეტი, ბილიარდი, შესაძლებელია პარკინგი. კონტაქტი: 899 41 87 60.

აღნიშნული სასტუმროები არის ეროვნული პარკის Pan-Parks -ების ბიზნეს პარტნიორები.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე:
www.borjomi-kharagauli-np.ge

ტურისტული სერვისი

- ღამისთევა ტურისტულ თავშესაფარში
- საკარვე ადგილი
- საპიკნიკე ადგილი
- გიდის მომსახურება
- ცხენით მომსახურება
- კარავი /დამატებით პარალონი/
- საძილე ტომარა
- ზურგჩანთა
- სასტუმროს ნომერი ბორჯომის ვიზიტორთა ცენტრში
- სასტუმროს ნომერი ხარაგაულის ვიზიტორთა ცენტრში
- საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა ბორჯომში
- საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა ხარაგაულში

როგორ მოვხვდეთ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში?

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს აქვს 2 ვიზიტორთა ცენტრი: ბორჯომის და ხარაგაულის. ბორჯომის ვიზიტორთა ცენტრი ქ. ბორჯოში მესხეთის ქ. №23-ში მდებარეობს, ხარაგაულის ვიზიტორთა ცენტრი მდებარეობს დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის №17.

ბორჯომში და ხარაგაულში მოსახვედრად შესაძლებელია სამარშუტო ტაქსებით და სარკინიგზო ტრანსპორტით სარგებლობა.

როგორ ჩავიცვათ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ვიზიტისას?

სასურველია სპორტულად და თავისუფლად ჩაცმა: საველე ფეხსაცმლის, შარვალის, ქუდისა და საწვიმარი ლაბადის ტარება.

კონტაქტი: 8 (267) 2 21 17; 8 (267) 2 39 11; 899 23 34 49.
welcome@borjomi-kharagaul-np.ge; nmuladze@borjomi-kharagauli-np.ge.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი და ნეძვის აღკვეთილი

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები
(ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი და ლაგოდეხის აღკვეთილი)

/შეიქმნა 1912 წ./

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ლაგოდეხის რაიონში. იგი სამი მხრიდან შემოფარგლულია მაღალი ქედებით და ღიაა მხოლოდ კასპიის ზღვის მხრიდან.

- *მანძილი: ქ. თბილისიდან ლაგოდეხის მიმართულებით 170კმ.*
- *დრო: ავტომობილით 2,5სთ.*

აქტივობები:

- *ცხენოსნობა*
- *ლაშქრობა*
- *ფრინველებზე დაკვირვება*

ტურისტული მარშრუტები:

➢ „შრომის ხეობის ჩანჩქერი“ (პატარა ჩანჩ-ქერი)

/6 კმ, 5 სთ, საფეხმავლო/

მარშრუტი იწყება ნაკრძალის ადმინისტრაციული ცენტრიდან, მიუყვება მდ. შრომის ხევის მარცხენა მხარეს, შედის ხეობაში საფეხმავლო ბილიკით და სრულდება ჩანჩქერთან.

მარშრუტი ვიზიტორებს საშუალებას აძლევს, ნახონ ხელუხლებელი ფართოფოთლოვანი ტყე, სხვადასხვა ჯიშის საუკუნოვანი ხეები, მინერალური გოგირდოვანი წყაროები.

ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი

➢ „ნინოს ხევის ჩანჩქერი“ (დიდი ჩანჩქერი)

/8 კმ, 5-6 სთ, საფეხმავლო/

მარშრუტი იწყება დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან, გადაადგილება ავტომანქანით ზემო გურგენიანში ნინოს ხევის ხეობის დასაწყისამდე და ფეხით მიემართება ვიწრო ბილიკით ხეობის გასწვრივ ჩანჩქერამდე.

მარშრუტზე ვიზიტორები ნახავენ მრავალსაუკუნოვან ცაცხვის ხეებს, კლდეებზე გადმომდინარე ანკარა წყაროებს, მდინარეებზე ბუნებრივად შექმნილ მრავალ კომპოზიციას.

➢ „მაჭის ციხე“

/6 კმ, 3-4 სთ, საფეხმავლო და საცხენოსნო/

მარშრუტი იწყება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან, კერძოდ სოფ. მაწიმის უბნიდან და ბილიკით მიუყვება მდ. მაწიმჩაის „მაჭის ციხემდე“, სადაც

V-VI საუკუნის ისტორიულ-კულტურული ძეგლის ნანგრევებია შემორჩენილი. ამ მარშრუტის გავლისას შესაძლებელია ვიზიტორები შეხვდნენ გარეულ ცხოველებს: ირემს, შველს, გარეულ ღორს და სხვ.

➢ „შავი კლდეების ტბა“

/50 კმ, 3 დღე, საცხენოსნო/

მარშრუტი იწყება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან, მანქანით გადაადგილდება სოფ. მაწიმში, საცხენოსნო ბილიკით მიუყვება მიტოს სერის მიმართულებით ალპური ზონისკენ და გადის სახელწიფო საზღვრის პარალელურად შავი კლდეების ტბის მიმართულებით.

პირველი შესვენება (კემპინგი) – ე.წ. წყაროს მიდამოებში;

მეორე შესვენება – შავი კლდეების ტბის მიდამოებში;

მესამე შესვენება – მთა ნინიგორას მიდამოებში.

გზად გვხვდება გადასახედები, კლდეები, სადაც ბინადრობენ ჯიხვები, არჩვები, ირმები, შვლები და სხვა ცხოველები თუ მტაცებელი ფრინველები. ვიზიტორებს საშუალება ეძლევათ, გადაადგილდნენ ცხენებით, ღამე გაათენონ კარვებში და იქირაონ შესაბამისი აღჭურვილობა.

რეგიონში ვიზიტორს შეუძლია, მოინახულოს მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლები: ბოდბეს წმ. ნინოს დედათა მონასტერი (სიღნაღის რაიონი), სიღნაღის ისტორიული მნიშვნელობის ქალაქი, ნეკრესი (ყვარლის რაიონი), ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, გრემი და სხვ.

რეგიონის სასტუმროები:

- „ლილე“, ქ. ლაგოდეხი, დ. აღმაშენებლის №93, აუზით, პარკინგით. კონტაქტი: 899 58 09 63;
- ”ლაგო“, ქ. ლაგოდეხი №53, საკონფერენციო დარბაზით, აუზით, შესაძლებელია პარკინგი. კონტაქტი: 899 34 99 32;
- „იდეალი“, სოფ. შრომა, ნაკრძალის ქ. №1, დეკორატიული ბაღით, შესაძლებელია პარკინგი. კონტაქტი: 895 50 50 64.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.lagodekhipa.ge

ტურისტული სერვისი

- გიდის მომსახურება
- ცხენით მომსახურება
- კარავი /დამატებით პარალონი/
- საკარვე ადგილი
- საპიკნიკე ადგილი
- სასტუმროს ნომერი ვიზიტორთა ცენტრში
- საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა
- საძილე ტომარა
- ზურგჩანთა

როგორ მოვხვდეთ ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე?

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მისამართია ქ. ლაგოდეხი, ვაშლოვანის ქ. №197. ლაგოდეხში ჩასვლა შესაძლებელია სამარშუტო ტაქსებით.

როგორ ჩავიცვათ ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტისას?

სასურველია, ჩაიცვათ სპორტულად და თავისუფლად – სალაშქრო ან სპორტული ფეხსაცმელი სქელ ძირზე.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტისას საჭიროა, თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

კონტაქტი: 8 (254) 2-27-15; 877 10 18 90.

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი და ლაგოდეხის აღკვეთილი



თუშეთის დაცული ტერიტორიები (თუშეთის ეროვნული პარკი, თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი და თუშეთის დაცული ლანდშაფტი)

/შეიქმნა 1980 წ./

თუშეთის დაცული ტერიტორიები მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ახმეტის რაიონში, წარმოადგენს კავკასიონის ცენტრალურ ნაწილს და მოიცავს მაღალ მთათა სისტემას (ზღვის დონიდან 1500-4500 მ). თუშეთის ეროვნული პარკი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პარკია ევროპის ტერიტორიაზე.

- *მანძილი: ქ. თბილისიდან ახმეტამდე - 170კმ, ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანიდან სოფ. ომალომდე - 90 კმ;*
- *დრო: ქ. თბილისიდან სოფ. ომალომდე ავტომობილით - 9 სთ (მგზავრობა შესაძლებელია მხოლოდ ორხიდიანი ტრანსპორტით)*

აქტივობები:

- *ლაშქრობა*
- *ცხენოსნობა*
- *ფრინველებზე დაკვირვება*
- *სამთო ველოსიპედით სეირნობა*

ტურისტული მარშრუტები:

➢ „კესელო“

/4 კმ, 1 დღე, საფეხმავლო/

მარშრუტი ვიზიტორთა ცენტრიდან სოფ. ომალოსკენ სამანქანო გზა მიუყვება. თუშეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრი არქიტექტურული თვალსაზრისით ბოლო საუკუნეში აშენებული ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობაა თუშეთში, მასში ინტეგრირებულია სასტუმრო, კაფეტერია, საინფორმაციო ცენტრი, საკონფერენციო დარბაზი. სოფ. ომალო წარმოადგენს ქვაბულს, რომლის ფერდობებზეა განვითარებული დასახლება, მთელი თავისი ინფრასტრუქტურით - საცხოვრებელი სახლებით და სარიტუალო ნაგებობებით. კესელო სოფ. ომალოს ისტორიული უბანია - სოფ. ომალოს ჩრდილოეთით კლდეზე აშენებული ციხე-სოფელი, ერთ-ერთ ციხეში თუშეთის ეთნოგრაფიული მუზეუმია განთავსებული. სოფ. ქვემო ომალო, რომელიც ომალოელების საზამთრო სოფელს წარმოადგენდა, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იქცა თუშეთის ადმინისტრაციულ ცენტრად და დღესაც ამ ფუნქციის მატარებელია.

➢ „ვეძა“

/5 კმ, 1 დღე, საფეხმავლო/

ვიზიტორთა ცენტრიდან ბილიკი საავტომობილო გზას მიუყვება და ჩადის მდ. პირიქითის ალაზნის ჭალაში, საიდანაც ტყით დაფარული საფეხმავლო ბილიკით შესაძლებელია ვეძაზე - ომალოს სამკურნალო-მინერალურ წყალთან მოხვედრა სოფ. ქვემო ომალოში.

➢ „წოვათა“

/65 კმ, 5 დღე, საცხენოსნო, საფეხმავლო/

ვიზიტორთა ცენტრიდან გზა მიემართება სოფ. ომალოსკენ, გაივლის ქუეს — პირიქითის, გომეწრის და ჩაღმის თემების გზაგასაყარ მინდორს, საიდანაც გზა წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ ფერდობს მიუყვება და ჩადის პირიქითის ხეობის ულამაზეს სოფ. დართლოში, შემდეგ ჭეშოს, ფარსმას და ნაყაიჩოს უღელტეხილით გადადის გომეწრის ხეობაში. ბილიკის გავლისას შესაძლებელია წოვათის ხეობის დათვალიერება. შემდეგ სამანქანე გზით უკან დაბრუნდებით სოფ. ქვემო ომალოში, სოფლების - ჯვარბოსელის, ბოჭორნას გავლით.

ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი

➢ „დაქუეხი“

/60კმ, 4 დღე, საფეხმავლო, საცხენოსნო/

ტურისტული ბილიკი გაივლის სოფ. ომალოს, რომლის თავზე დგას კესელოს განახლებული ციხეები. სოფ. ომალოდან გზა ეშვება ქუეში პირიქითის, გომეწრის და ჩაღმის თემების გზაგასაყარ მინდორზე. წითელთის ფიჭვნარი ფერდობის საცხენე ბილიკით ადის პირიქით-გომეწრის წყალგამყოფი ქედის უღელტეხილზე — ღელეზე, რომელიც ტრადიციულ თუშეთში წარმოადგენდა თუშეთის ოთხივე თემის საყრილობო ადგილს. ღელედან გზა ულამაზეს ფიჭვნარ და არყნარ კორომებს მიუყვება სოფ. დართლომდე, რომელიც ყურადღებას იპყრობს თავისი არქიტექტურული ანსამბლით და მიმზიდველი ლანდშაფტით. დართლოდან გზა მიუყვება პირიქითის ალაზნის მარჯვენა სანაპიროს, გაივლის სოფლებს - ჭეშოს, ფარსმას, გირევს, ჭონთიოს და თურსიეხის და ქვახიდის გავლით ჰაწუნტის გადასასვლელით გადადადის ხევსურეთში.

➢ „დოჭუ“

/28 კმ, 2 დღე, საფეხმავლო, საცხენოსნო/

სოფ. ხახაბოსკენ საცალფეხო ბილიკი ეშვება “საძახებელი გორიდან”, ხიდით გაივლის მდ. გომეწრის ალაზანს და შეუყვება ტყიან აღმართს ხახაბოსაკენ. ხახაბოდან გზა კეხის გადასასვლელისკენ მიდის. აქედან ხელისგულივით იშლება გომეწრისა და ჩაღმის ხეობები, სოფლები და სანახები. კეხიდან ბილიკი ეშვება ფოთლოვან ტყეში, გადადის ორწყლის ხიდზე გოგრულთისაკენ. ამ სოფელში მე-5 საუკუნის დასახლებების ნაშთებია შემორჩენილი. გოგრულთიდან ბილიკი მიემართება კლდის ქიმზე წამომართულ სოფ. დოჭუსკენ, სადაც საუკუნეების წინანდელი სამსართულიანი სახლებია შემორჩენილი. დოჭუდან ბილიკი მიუყვება სახეოს ალპური მდელოებისკენ. ამ ადგილიდან ხელისგულივით იშლება პირიქითის, ჩაღმისა და გომეწრის ხეობები. გზა გოგორათის გორების გავლით ღელეზე ჩადის, რომელიც ოდითგანვე წარმოადგენდა თუშეთის ოთხივე თემის საყრილობო ალაგს. აქედან მარშრუტი სამანქანე გზას მიუყვება ომალომდე.

➢ „ჭეშო“

/8კმ, 1 დღე, საცხენოსნო, საფეხმავლო/

ჭეშოს ხაადან ჩამოედინება წყალუხვი ხაის წყალი. გზად გავივლით ცხვრის ბინას და შევუყვებით აღმართს. ხაას გადმოჰყურებს 4200 მეტრი სიმაღლის მწვერვალი ქომიტო. ხაის წყლის სათავეები და გაღმა-გამოღმა კლდეები ჯიხვის

გავრცელების საუკეთესო არეალს წარმოადგენს. სავარაუდოდ ამ ადგილებში ჯიქი უნდა ცხოვრობდეს.

➢ „ქუე“

/8კმ, 1 დღე, საფეხმავლო, საცხენოსნო/

ქუე სოფ. ომალოს ჩრდილოეთით მდებარე დაბალი მინდორია, გარშემორტყმული ფიჭვნარი ტყით. ეს არის პირიქითის, გომეწრისა და ჩაღმის გზაგასაყარი. ქუეს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება პირიქითის ალაზნის ღრმა ხეობა, რომლის კლდოვანი ფერდობები ნიამორის გავრცელების არეალს წარმოადგენს. აქ სპეციალურად მოწყობილ საპიკნიკე ადგილზე შესაძლებელია ბუნების წიაღში დასვენება და ნიამორზე დაკვირვება.

➢ „დართლო“

/10კმ, 1 დღე, საცხენოსნო, საფეხმავლო/

სოფ. დართლოდან ბილიკი ადის სოფ. კვავლოში. ბილიკს გადმოჰყურებს კვავლოს პირამიდულსახურავიანი კოშკი. სოფელი გაშენებულია კლდოვანი მთის კალთებზე. უბნები დაკავშირებულია ქვით ამოშენებული ბილიკებითა და გაჭრილი გასასვლელებით. გვერდს ავუვლით კვავლოს სალოცავებს — ჯვართშუის წმინდა გიორგის ხატს, ჯვართანას და ავუყვებით დიდხევის ხეობას — კვავლოს ხაას, რომელიც მთავრდება მყინვარებითა და საჯიხვეებით.

➢ „გონთაი“

/50 კმ, 2 დღე, საცხენოსნო, საფეხმავლო/

ვიზიტორთა ცენტრიდან სამანქანე გზა მიემართება სოფ. ომალოსკენ, საიდანაც ეშვება ქუეში — პირიქითის, გომეწრის და ჩაღმის თემების გზაგასაყარ მინდორზე. აქედან წითელთის ფიჭვნარი ფერდობის საცხენე ბილიკით ადის პირიქით-გომეწრის წყალგამყოფი ქედის უღელტეხილზე — ღელეზე. გადადის სოფელ დართლოში, გაივლის — სოფლებს ჭეშოს, ფარსმას და მდ. ალაზნის გადაკვეთის შემდეგ აუყვება ალპური ყვავილებით მოჩითულ ბილიკს ნაყაიჩოს უღელტეხილამდე. ნაყაიჩოდან მარშრუტი მიუყვება პირიქითისა და გომეწრის ხეობების წყალგამყოფ ქედს აღმოსავლეთის მიმართულებით. მარშრუტი გაივლის ალპურ ზონაში მდებარე ერთ-ერთი მაღალი სალოცავის — სახეოს ვაკედ გაშლილ ქედს, გაივლის გოგორათის გორებს და ჩადის ღელეში, იქიდან კი სოფ. ქვემო ომალოში.

➢ „ორეთი“

/23კმ, 2 დღე, საცხენოსნო, საფეხმავლო/

ომალოდან ორეთისკენ მიმავალი ბილიკი გაივლის სიქოეტს, ომალოს პლატოზე ცენტრალური გზის შემოსასვლელ მონაკვეთს, სიქოეტიდან გადაუხვევს აღმოსავლეთით არღაჯეში, საბოსლეებში. არღაჯედან ბილიკი ეშვება გომეწრის ალაზნის ხეობაში, გადადის საცალფეხო ხიდზე და აღმოსავლეთის მხარეს მიდის ხოშანეს ხევთან. 2600 მეტრ სიმაღლეზე ბილიკი ეშვება ბიღოეთსათიბის ხევში. აქედან მოსჩანს ცხვრის ბინა ქოხებით და საწველი ბაკით. ბიღოეთსათიბიდან მარშრუტი გადავივლით პატარა ქედს, რომლის უკან ალპურ ზონაში მდებარეობს ორეთის ტბა.

ორეთიდან ბილიკი ეშვება ლაას ქედზე და ჩადის სოფ. ქუმელაურთაში. ქუმელაურთიდან ომალოსაკენ მიმავალი გზა გაივლის ცოკალთის ხიდის და სერპანტინებით ადის ომალოს პლატოზე.

➢ „დიკლო“

/36 კმ, 3 დღე, საფეხმავლო, საცხენოსნო/

დიკლოსკენ მიმავალი გზა ომალოდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართება, გაივლის თხილოანის ტყეს და საპიკნიკედ მოწყობილ ადგილს ვეძას.

პირიქითის ალაზნის ხიდის გადავლის შემდეგ სამანქანე გზა შეუყვება აღმართს. საიდანაც მარჯვნივ ფიჭვნარში ბილიკი ნასოფლარ აგეურთისაკენ შეუხვევს. იქიდან კი ბილიკი სოფელ შენაქოსკენ ადის

შენაქოდან გზა მიდის ჩრდილოეთით და გადადის მცირე უღელტეხილზე ,,ნივრე''-ზე. ნივრეს გაღმა აღმართულია ფიჭვნარი მთა ,,ტყავიანი კაცი''. აქ დიკლოსკენ მიმავალი გზა ორად იყრება. ერთი მოკლეა- სამანქანო გზა, მეორე -უფრო გრძელი, საცალფეხო-საცხენოსნოა, რომელიც მარჯვნიდან შემოუვლის და გადის დოტკალტოს ველზე, საიდანაც ბილიკი სოფელ დიკლოში გადადის.

დიკლოდან ბილიკი გაივლის ფიჭეხის ცხვრის ბინას და შეუყვება დიკლოს ხაას. აქედან ბილიკი გადავა ჩიღოს ხააში, შავ-ქვიშების საჯიხვეებში. ჩიღოს ხაადან გზა გამოივლის სანაროს ღელეს, ცხვრის ბინას და დიკლოს გვერდის ავლით დაეშვება შენაქო-ომალოს მიმართულებით.

ვიზიტისათვის საუკეთესო სეზონია ზაფხული.

ტურისტული სერვისი

- გიდის მომსახურება
- ცხენით მომსახურება
- საძილე ტომარა
- საკარვე ადგილი
- კარავი /დამატებით პარალონი/
- ზურგჩანთა
- საკონფერენციო დარბაზი
- სასტუმროს ნომერი ვიზიტორთა ცენტრში
- ჭოგრიტი
- ველოსიპედი

რეგიონის სასტუმროები:

- „კამსური“, ქვემო ალვანი. კონტაქტი: 895 54 41 11;
- შპს „ალვანის ველი”, ქვემო ალვანი. კონტაქტი: 899 67 22 71;
- საოჯახო სასტუმრო, ზემო ალვანი. კონტაქტი: 895 45 25 59;
- საოჯახო სასტუმრო, ომალო. კონტაქტი: 899 93 88 54;
- საოჯახო სასტუმრო, ომალო. კონტაქტი: 899 10 45 90;
- საოჯახო სასტუმრო, ომალო. კონტაქტი: 899 39 12 32;
- საოჯახო სასტუმრო, ომალო. კონტაქტი: 855 48 25 27;
- ა/ო „ომალო 2005”, ზემო ომალო. კონტაქტი: 899 67 22 43;
- საოჯახო სასტუმრო, ზემო ომალო. კონტაქტი: 899 27 22 65;
- საოჯახო სასტუმრო, ზემო ომალო. კონტაქტი: 899 38 90 80;
- საოჯახო სასტუმრო, ზემო ომალო. კონტაქტი: 893 17 37 08;
- საოჯახო სასტუმრო, დართლო. კონტაქტი: 899 11 89 93;
- საოჯახო სასტუმრო, დართლო. კონტაქტი: 877 76 53 64;
- საოჯახო სასტუმრო, დოჭუ. კონტაქტი: 899 53 33 98;
- შპს „კრუისკარი”, დოჭუ, კონტაქტი: 899 28 56 47;
- საოჯახო სასტუმრო, ჭეშო. კონტაქტი: 899 67 42 10;
- საოჯახო სასტუმრო, ალისგორი. კონტაქტი: 899 77 55 43;
- საოჯახო სასტუმრო, ვერხოვანი. კონტაქტი: 899 70 03 78;
- საოჯახო სასტუმრო, ბასო. კონტ.: 855 741 513, 899 460 841;
- საოჯახო სასტუმრო, შენაქო. კონტაქტი: 899 48 18 12;
- საოჯახო სასტუმრო, შენაქო. კონტაქტი: 893 17 37 08;
- საოჯახო სასტუმრო, ომალო. კონტაქტი: 899 79 00 92;

როგორ მოვხვდეთ თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე?

დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია მდებარეობს ახმეტის რაიონ ქვემო ალვანში. სოფ. ქვემო ალვანის მიმათ-ულებით მოხვედრა შესაძლებელია სამარშუტო ტაქსებით.

როგორ ჩავიცვათ თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტისას?

სასურველია, ჩაიცვათ მაღალმთიანი რეგიონის შესაბამისად, სპორტულად და თავისუფლად. საჭიროა სალაშქრო ან სპორტული სქელ ძირიანი ფეხსაცმლის და სპორტული შარვლის ჩაცმა, ქუდის ტარება. მიზანშეწონილია, თან იქონიოთ საწვიმარი.

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტისას საჭიროა, თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.tushetipa.ge

კონტაქტი: 877 10 18 91; an_alvani@yahoo.com



ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები
(ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი და ვაშლოვანის ეროვნული პარკი)

/შეიქმნა 1935 წ./

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, დედოფლისწყაროს რაიონში მდებარეობს. იგი მოიცავს: ვაშლოვანის ნაკრძალს, ვაშლოვანის ეროვნულ პარკსა და ბუნების ძეგლებს: ,,არწივის ხეობას", ,,ტახტითეფას ტალახის ვულკანებს", ,,ჯუმას ყურეს ალაზნის ქალებს".

- *მანძილი: თბილისიდან დედოფლიწყარომდე - 130 კმ.*
- *დრო: ავტომობილით - 2სთ.*

აქტივობები:

- *ლაშქრობა*
- *ცხენოსნობა*
- *ფრინველებზე დაკვირვება*
- *სამთო ველოსიპედით სეირნობა*
- *სამოყვარულო თევზჭერა*

ტურისტული მარშრუტები:

➢ „პანტიშარა, დათვის ხევი"

/180კმ, 1 დღე, სამანქანო ინტეგრირებული საფეხმავლოსთან/

მარშრუტი იწყება დედოფლისწყაროდან და მიემართება პანტიშარას ხეობისაკენ. გზის გასწვრივ თვალში მოგხვდებათ ზღაპრული შეფერილობის კვირიონები და ყაპყაპები. ხეობის ცენტრში მერცხლებს საკუთარი ქალაქი აუშენებიათ. გაზაფხულზე აქ ათასობით ფრინველი იბუდებს.

დათვის ხევისა და პანტიშარას ხეობის შეერთების ადგილას მოწყობილია სპეციალური საპიკნიკე ადგილი.

დათვის ხევის საფეხმავლო მარშრუტი იწყება პანტიშარას ხევის ერთ-ერთი განშტოებიდან, დათვის ხევის შესასვლელიდან. მარშრუტის მთავარი სანახაობაა სამხრეთული სპილოს გაქვავებული ძვლები. მათ შორის ყველაზე დიდია ბეჭის ძვალი, რომელის 87 სანტიმეტრს აღწევს და კარგად წარმოაჩენს მილიონი წლის წინ მცხოვრები ძუძუმწოვრის გიგანტურ ზომას.

➢ „არწივის ხეობა", „ხორნაბუჯის ციხე", „წმ. ელიას მთა"

/130 კმ, 1 დღე/

მარშრუტი იწყება არწივის ხეობის შესასვლელთან – საინფორმაციო ცენტრში. საფეხმავლო ბილიკი მიემართება კირქვიანი კლდეების გასწვრივ და მიდის კლდის ძირებთან, სადაც შესაძლებელია იშვიათი ენდემური მცენარის კახეთის მაჩიტას ნახვა. შემდეგ ბილიკი მიემართება ხეობის დასავლეთ კალთაზე არსებული გადასახედებისაკენ, საიდანაც ჩაკიდული კლდეების ფონზე მონავარდე ორბების თვალიერებაა შეიძლება. ხეობაში კიდევ 9 სახეობის მტაცებელი ფრინველის ნახვაა შესაძლებელი. მტაცებლების გარდა არწივის ხეობაში სხვა გამორჩეული სილამაზის ფრინველებსაც შეხვდებით, მათ შორის კოლხურ ხოხობს და შავ ყარყატს.

➢ „მიჯნისყურე", „შავი მთა"

/210-240 კმ, 2 დღე/

მარშრუტი იწყება ქ. დედოფლისწყაროდან, გვერდით ჩაუვლის ქიზიყის ერთ-ერთ მთავარ სალოცავს – „წმინდა ელიას მთას", ბუნებრივ მარილიან ტბას „ქოჩებს", გადაკვეთს შირაქის ველს და სოფლების: ქედებისა და არხი-

ლოსკალოს გავლით ეროვნული პარკის შავი მთის შესასვლელთან არსებულ გადასახედთან შეჩერდება, საიდანაც მიემართება უსახელო მთისკენ. ვიზიტორები უმშვენიერესი ლანდშაფტების გავლით დაეშვებიან მიჯნისყურის ჭალებში მდ. ალაზნის პირას გაშენებულ ვიზიტორთა სოფელში, სადაც შესაძლებელია ბუნგალოებში ან კარვებში ღამისთევა, ანკესით თევზაობა და საპიკნიკე ადგილებზე ვახშმის მომზადება.

➢ „ᲢᲐᲮᲢᲘ-ᲗᲔᲤᲐ“

/185 კმ, 1 დღე/

არაორგანული ბუნების ეს ძეგლი დალის მთის მახლობლად მდებარეობს და განსხვავებულია ყველაფრისაგან, რისი ნახვაც კი საქართველოში შეიძლება. ამ ტალახოვანი ვულკანის მნახველს ისეთი შეგრძნება გეუფლებათ, რომ არა თუ სხვა ქვეყანაში, არამედ სხვა პლანეტაზე მოხვდით. ვულკანი მოთეთრო, ბრტყელთხემიანი ბორცვია, რომელიც გამუდმებით ფეთქავს და თუხთუხებს. სასუნთქებიდან და კრატერებიდან მუდმივად ჟონავს სამკურნალო თვისებების მქონე აირი და ტალახი.

ვიზიტორს მიმდებარე ტერიტორიაზე შეუძლია, მოინახულოს შესანიშნავი ისტორიული ძეგლი ხორნაბუჯი, რომელიც წარმოადგენს V საუკუნის ციხე-ქალაქის ნანგრევებს, V-VI საუკუნეების შავი მთის სამონასტრო კომპლექსი, ფიროსმანის მუზეუმი სოფელ მირზაანში.

ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე:
www.vashlovanipa.ge

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲔᲑᲘ:

- სასტუმრო „ვაშლოვანი“, მის.: 9 აპრილის ქ. №116. ტელ.: 8 99 65 35 65. შესაძლებელია 9 ვიზიტორის განთავსება.
- სასტუმრო „ქიზიყი“, მის.: პიროსმანის ქ. №20. ტელ.: 8 99 55 03 07; შესაძლებელია 8 ვიზიტორის განთავსება.
- სასტუმრო „მეგზური“, მის.: მეგობრობის ქ. №97; ტელ.: 8 99 19 63 35. შესაძლებელია 4 ვიზიტორის განთავსება.
- სასტუმრო „მეგზური“, მის.: თაყაიშვილის ქ. №3. ტელ.: 8 77 10 18 35; შესაძლებელია 10 ვიზიტორის განთავსება.
- სასტუმრო „მეგზური“, მის.: ალადაშვილის ქ. №14; ტელ.: 8 99 97 63 94.; შესაძლებელია 6 ვიზიტორის განთავსება.
- სასტუმრო „შირაქი“, მის.: პიროსმანის ქ. №19. ტელ.: 8 99 57 43 51; შესაძლებელია 8 ვიზიტორის განთავსება.
- სასტუმრო „არნივის ხეობა”, მის.: კოსტავას ქ. №58. ტელ.: 8 77 79 74 00; შესაძლებელია 4 ვიზიტორის განთავსება.
- საოჯახო სასტუმრო, მის.: ევდოშვილის ქ. №7. ტელ.: 8 99 40 60 26; შესაძლებელია 8 ვიზიტორის განთავსება.

ტურისტული სერვისი

- გიდის მომსახურება
- საძილე ტომარა
- სასტუმროს ნომერი ვიზიტორთა ცენტრში
- ღამისთევა ბუნგალოში
- კარავი /დამატებით პარალონი/
- საკარვე ადგილი
- ზურგჩანთა
- ჭოგრიტი
- საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა

როგორ მოვხვდეთ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე?

ადმინისტრაციის მისამართია ქ. დედოფლისწყარო, ბარათაშვილის ქ. №5, ადმინისტრაციიდან აღმოსავლეთით, 54 კმ -ში მდებარეობს ვაშლოვანის ეროვნული პარკი, დრო - 1, 5 სთ, ადმინისტრაციიდან მიჯნის ყურემდე - 80 კმ, დრო - 2 სთ.

როგორ ჩავიცვათ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტისას?

სასურველია, ჩაიცვათ სპორტულად და თავისუფლად: სალაშქრო ან სპორტული, დახურული, სქელ ძირზე ფეხსაცმელი, საველე შარვალი. სასურველია ქუდისა და საწვიმრის ტარება.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტისას საჭიროა, თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

ვიზიტორთა ბუნგალოები

კონტაქტი: 8 (256) 2 31 25; 8 77 10 18 49; vpa.direction@yahoo.com

ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი და ვაშლოვანის ეროვნული პარკი

კოლხეთის ეროვნული პარკი

/შეიქმნა 1998 წ./

კოლხეთის ეროვნული პარკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. იგი მოიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა და პალიასტომის ტბის აუზს. პარკი შექმნილია კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვისა და გადარჩენის მიზნით.

- *მანძილი: თბილისიდან ქალაქ ფოთამდე - 330 კმ., ქალაქ ბათუმიდან ფოთამდე - 27 კმ.*
- *დრო: ავტომობილით - 5სთ. ხოლო მატარებლით - 7 სთ.*

აქტივობები:

- *კატერით გასეირნება*
- *კაიაკით გასეირნება*
- *პონტომით გასეირნება*
- *სპორტული თევზაობა*
- *ფრინველებზე დაკვირვება*

ტურისტული მარშრუტები:

➢ „პალიასტომის ტბა“

/1სთ, გასვლა პონტომის ტიპის ნავით/

მარშრუტი იწყება პალიასტომის ტბის შესასვლელიდან. ამ მარშრუტზე ტურისტები იხილავენ პალიასტომის ტბის ნაპირების ულამაზეს პეიზაჟებს, ლელისა და ლაქაშის მაღალ გაუვალ რაყებს, მეორად ნოტიო მდელოებს,



სამეფო გვიმრების ხშირ საფარს. სათვალთვალო კოშკიდან შესაძლებელია რაყებში თავშეფარებულ გადამფრენ ფრინველებზე თვალთვალი, რომელთა შორის ზოგიერთი იშვიათი სახეობა, წითელ წიგნშია შეტანილი.

➢ „პალიასტომი-ფიჩორი“

/3სთ, გასვლა პანტონის ტიპის ნავით/

მარშრუტზე ტურისტები დაათვალიერებენ პალიასტომის ტბის ულამაზეს ნაპირებს, მდ. ფიჩორის შესართავის თვალწარმტაც ხედს, მდინარის ნაპირზე არსებულ შესასვენებელთან ტურისტებს საშუალება აქვთ, უშუალოდ ადგილზე იხილონ მდინარის ნაპირებზე გავრცელებული ჭარბტენიანი კოლხური რელიქტური ტყე, წყლისა და ჭაობის ფრინველები. მდორე წყლებში არსებული დუმფარის ,,ზეწრები". ტურისტებს ასევე შეუძლიათ მდინარე ფიჩორზე კაიაკით გასეირნება, სპორტული თევზაობა.

➢ „ᲞᲐᲚᲘᲐᲡᲢᲝᲛᲘ-ᲤᲘᲩᲝᲠᲘ“

/3სთ, გასვლა კატერით/

მარშრუტზე ტურისტები დაათვალიერებენ მდ. ფიჩორის შესართავის თვალწარმტაც ხედს, მდინარის ნაპირზე არსებულ შესასვენებელთან ტურისტებს საშუალება აქვთ, იხილონ მდინარის ნაპირებზე გავრცელებული ჭარბტენიანი კოლხური რელიქტური ტყე, წყლისა და ჭაობის ფრინველები. კატერით დათვალიერებისას ვიზიტორს არსებული ტყის მასივი გაუვალი ლიანებით მინიატურული ჯუნგლების ასოციაციას უქმნის.

ტურისტებს ასევე შეუძლიათ მდინარე ფიჩორზე კაიაკებით გასეირნება, პარკის ადმინისტრაციის მიერ დაშვებულია სპორტული თევზაობაც.

➢ „ᲞᲐᲚᲘᲐᲡᲢᲝᲛᲘ- ᲤᲘᲩᲝᲠᲘ“

/2 სთ, გასვლა კატამარანით/

მარშრუტზე ტურისტები დაათვალიერებენ პალისტომის ტბის ულამაზეს ნაპირებს. ტურისტებს ასევე შეუძლიათ მდინარე ფიჩორზე კაიაკებით გასეირნება, ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ დაშვებულია სპორტული თევზაობაც.

ადმინისტრაციული შენობა დავიზიტორთა ცენტრი

ტურისტული სერვისი

- სასტუმროს ნომერი ვიზიტორთა ცენტრში
- პარალონი
- გიდით მომსახურება
- საკონფერენციო დარბაზი
- კატერით მომსახურება,
- ღამისთევა დარგოლვის ცენტრ „ჟურიაზე“
- კაიაკით მომსახურება

როგორ მოვხვდეთ კოლხეთის ეროვნულ პარკში?

ადმინისტრაცია მდებარეობს ქ. ფოთში, მალთაყვის უბანში, გურიის ქ. №222.

ქ. თბილისიდან ფოთში მოხვედრა შესაძლებელია სამარშუტო ტაქსით, ავტობუსით და სარკინიგზო ტრანსპორტით.

როგორ ჩავიცვათ კოლხეთის ეროვნულ პარკში ვიზიტისას?

სასურველია რეზინის ჩექმების ჩაცმა, საწვიმარი ლაბადის წამოღება.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.knp.ge
კონტაქტი: 8 (293) 7 30 87; 8 77 10 18 96; ekaina_tsakiashvili@yahoo.com

კოლხეთის ეროვნული პარკი

ქობულეთის დაცული ტერიტორიები

/შეიქმნა 1998 წ./

ქობულეთის დაცული ტერიტორიები მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შავი ზღვის სანაპიროსთან. ქობულეთის დაცული ტერიტორიები შეიქმნა უნიკალური ჭარბტენიანი ეკოსისტემების, როგორც მაღალი ღირებულების მქონე ბუნებრივი მემკვიდრეობის გადარჩენის მიზნით.

- *მანძილი: თბილისიდან ქობულეთამდე - 300 კმ.*
- *დრო: ავტომობილით - 5-6სთ, ხოლო მატარებლით - 5 სთ.*

აქტივობები:

➢ *ჭაობზე სიარული*

ტურისტული მარშრუტები:

➢ „ისპანი II“

/500მ, 2სთ, საგანმანათლებლო/

მარშრუტის მიმართულება: მარშრუტები იწყება ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის ქ. №642-ის გადასასვლელიდან,

იქვე არსებულ ვიზიტორთა ცენტრში ვიზიტორს საშუალება ეძლევა მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია ქობულეთის დაცული ტერიტორიების შესახებ.

საფეხმავლო ბილიკი მიემართება სახელმწიფო ნაკრძალის შესასვლელიდან გადასახედ კოშკამდე, საიდანაც შესაძლებელია გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვება, სურათების გადაღება. გადასახედი კოშკიდან ვიზიტორს საშუალება ეძლევა, თვალი გადაავლოს ისპანი I-ს, გზად კი საინფორმაციო დაფების მეშვეობით მიიღოს საინტერესო ინფორმაცია ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის შესახებ.

ქობულეთის დაცული ტერიტორიები
ეროვნული ნაკრძალები
ეროვნული პარკი
ბუნების ძეგლი
ტაძარი ტაძარი
ეროვნული ეთნოგრაფიული
ისტორიული
ეკოლოგიური
ადგილობრივი დაცული ტერიტორიები
ბორჯომი
ბათუმი
ფოთი
ზუგდიდი
ოზურგეთი
ახალციხე
ახალქალაქი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიან

ნობაში არსებული სასტუმრო, რომელსაც გააჩნია სამი ორადგილიანი და ერთი ერთადგილიანი ნომერი და საკონ-ფერენციო დარბაზი 15 კაცზე.

როგორ მოვხვდეთ ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე?

ადმინისტრაცია მდებარეობს ქ. ქობულეთში, ლესელ-იძის ქ. №4-ში.

ქ. თბილისიდან ქობულეთში მოხვედრა შესაძლებელია სამარშუტო ტაქსით, ავტობუსით და სარკინიგზო ტრანს-პორტით.

როგორ ჩავიცვათ ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტისას?

სასურველია, ჩაიცვათ სპორტულად და თავისუფლად: სპორტული შარვალი, საველე ფეხსაცმელი და თან იქონიოთ საწვიმარი.

ტურისტული სერვისი

- გიდის მომსახურება
- სასტუმროს ნომერი ვიზიტორთა ცენტრში
- საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა
- ჭაობზე სასიარულო თხილამური

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.knr.ge
კონტაქტი: 888 236 6 72 97; 877 10 18 97; kobuletis@yahoo.com

მტირალას ეროვნული პარკი

/შეიქმნა 2007 წ./

მტირალას ეროვნული პარკი მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქობულეთის რაიონში.

ეროვნული პარკის ტერიტორია წარმოდგენილია კოლხური ტიპის ტყეებისათვის დამახასიათებელი ფლორითა და ფაუნით. ვიზიტორს საშულება აქვს, დატკბეს ბუნების მშვენიერებით, მოაწყოს საწყლოსნო, ეთნოლოგიური, ეკოლოგიური და ფრინველებზე დაკვირვების ტურები.

- *მანძილი: ქ. თბილისიდან ეროვნულ პარკამდე - 320 კმ.*
- *დრო: ავტომანქანით ქ. თბილისიდან - 6-6,5 სთ; მატარებლით ქ. თბილისიდან ქ. ქობულეთამდე - 5 სთ.*

აქტივობები:

- *ლაშქრობა*
- *ცხენოსნობა*
- *სამთო ველოსიპედით სეირნობა*

ტურისტული მარშრუტები:

- მტირალას ეროვნული პარკის მარშრუტი

/4კმ, 2სთ/

ეროვნული პარკის მარშრუტი მდებარეობს 265-442 მეტრზე ზღვის დონიდან, იწყება დაგეგმარებით ბუფერულ ზონაში მოქცეულ სოფელ ჩაქვისთავში არსებულ ვიზიტორთა ცენტრიდან. ტურისტული მარშრუტი არის საფეხმავლო და მისი დანიშნულებაა შემეცნებით-გასართობი, ის აერთიანებს ორ მნიშვნელოვან ადგილს - ჩანჩქერს და ტბას.

ბილიკს მომხიბვლელს ხდის ქვეტყე, რომელიც დაფარულია, რწყავით, კოლხური ბზებით და სხვადასხვა სახის სუროთი.

ბილიკი მიუყვება მდინარე ჩაქვისწყალის ულამაზეს ხეობას. ვიზიტორთა ცენტრიდან 2 კმ-ით დაშორებულია კოლხურ ბზასა და სუროში ჩაფლული ჩანჩქერი, რომლის სიმაღლე 15 მეტრს აღემატება. ჩანჩქერთან, ველური ბუნების წიაღში არის გამოყოფილი სპეციალური საკემპინგე ადგილი. ჩანჩქერიდან 1კმ-ის დაშორებით კლდეებს შორის მოედინება მდინარე, რომელიც ქმნის შეგუბებას. აქ მრავლადაა კალმახი. მდინარის ნაპირზე არის საპიკნიკე და საცეცხლე ადგილები.

ბილიკი გამოირჩევა შესანიშნავი ხედებით, საიდანაც მოჩანს კოლხური ტყეების ეკოსისტემები, აგრეთვე სოფელი ჩაქვისთავი. ბილიკი ძალიან საინტერესო და მიმზიდველია ფოტომოყვარულთათვის.

ტურისტული სერვისი

- სასტუმროს ნომერი ვიზიტორთა ცენტრში
- გიდის მომსახურება
- ცხენით მომსახურება
- კარავი /დამატებით პარალონი/
- საკარვე ადგილი
- საძილე ტომარა
- ზურგჩანთა
- საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა

რეგიონში აგრეთვე ვიზიტორს შეუძლია მოინახულოს აჭარის ისტორიულ-კულტურული ძეგლები: გონიოს ციხე-ქალაქი (ახ. წ.აღ. I საუკუნე), თამარის ციხე.

რეგიონის სასტუმროები:

- საოჯახო სასტუმრო, მის.: ქობულეთის რაიონი, სოფ. ჩაქვისთავი. საკონტაქტო ტელ.: 898 77 27 89, 858 77 80 84, 890 95 66 62.

როგორ მოვხვდეთ მცირალას ეროვნულ პარკში?

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მისამართია დაბა ჩაქვი, ჭავჭავაძის №13.

ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი

როგორ ჩავიცვათ მცირალას ეროვნულ პარკში ვიზიტისას?

სასურველია, ჩაიცვათ სპორტულად და თავისუფლად: კეტები, სპორტული შარვალი და თან იქონიოთ სანვიმარი ლაბადა.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.mtiralapa.ge
კონტაქტი: 8 77 10 18 89; nkeshelava@yahoo.com



კინტრიშის დაცული ტერიტორიები
(კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი და დაცული ლანდშაფტი)

/შეიქმნა 1959 წ./

კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქობულეთის რაიონში. იგი შეიქმნა კოლხური შუამთის რელიქტური ტყეების, ფლორისა და ფაუნის დაცვის მიზნით.

- *მანძილი: ქ. თბილისიდან - 360 კმ.*
- *დრო: ავტომანქანით 6-7 სთ; მატარებლით (ქ. ქობულეთამდე) - 6 სთ.*

აქტივობები:

- *ლაშქრობა*
- *ცხენოსნობა*

ტურისტული მარშრუტები:

➢ „თამარის თაღოვანი ხიდი და ბზეების კორომი"

/1კმ, 30წთ, საფეხმავლო/

მარშრუტზე, რომელიც ქობულეთიდან 20 კმ-ში მდებარეობს, ტურისტებს შეუძლიათ მოინახულონ თაღოვანი ხიდები, რომლებიც არქიტექტურული ხელოვნების ნიმუშია (IX-XII საუკუნეები), აქვე შესაძლებელია ბზების კორომის

ნახვა, რომლის საშუალო ასაკი 300-400 წელია, სიმაღლე - 15-16 მეტრი, დიამეტრი - 16-32სმ, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, ძველი ღვინის მარანი.

➢ „უთხოვარი და ტბა ტბიყელი"

/37 კმ, 7-8 სთ, საფეხმავლო და საცხენოსნო/

მარშუტი მდებარეობს ქობულეთიდან 44კმ-ში. ბილიკის გავლისას ტურისტებს საშუალება ექნებათ, მოინახულონ სოფელ დიდვაკეში 30-40 საუკუნის დიდხნოვანი უთხოვარი, სოფ. ზედა ხინოდან (12კმ) მთ. სარბიელას გავლით ტბა „ტბიყელი", რომელიც თავისი უნიკალური სანახაობითა და ღირებულებით შეუფასებელია. ტბაში ბინადრობს კავკასიური ტრიტონი, რომელიც წითელ ნუსხაშია შეტანილი.

როგორ მოვხვდეთ კიტრიშის დაცულ ტერიტორიებზე?

ადმინისტრაციის მისამართია ქ. ქობულეთი ლესელიძის ქ. №4.

ქობულეთამდე მოხვედრა შესაძლებელია სამარშუტო ტაქსებით და სარკინიგზო ტრანსპორტით.

კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი და დაცული ლანდშაფტი



ტურისტული სერვისი

- გიდის მომსახურება
- ცხენით მომსახურება
- საკარვე ადგილი
- საპიკნიკე ადგილი
- საძილე ტომარა
- სასტუმროს ნომერი ვიზიტორთა ცენტრში
- კარავი /დამატებით პარალონი/
- ზურგჩანთა

კონტაქტი: 888 236 6 70 13. 8 77 59 21 12; kintrishis@yahoo.com

როგორ ჩავიცვათ კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტისას?

სასურველია სპორტულად და თავისუფლად ჩაცმა: სქელძირიანი, დახურული, საველე ფეხსაცმელი, ქუდი, საწვიმარი, სპორტული შარვალი.

ვიზიტორთა ცენტრი

ჭაჭუნას აღკვეთილი

/შეიქმნა 1965 წ./

ჭაჭუნას აღკვეთილი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე, დედოფლისწყაროს რაიონში. აღკვეთილის ტერიტორია მოიცავს 5683 ჰა-ს.

- *მაძილი: ქ. თბილისიდან აღკვეთილამდე - 165 კმ, ქ. დედოფლისწყაროდან - 45 კმ.*
- *დრო: ავტომობილით - 3 სთ.*

აღკვეთილი ძირითადად წარმოდგენილია არიდული და სემიარიდული ტიპის ფლორითა და ფაუნით. ჭალის ტყეებისა და არიდულ-სემიარიდული სისტემებისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტებისა და მცენარეულობის ერთობლიობა ხელს უწყობს აღკვეთილის ფაუნის მრავალფეროვნებას.

ვიზიტორს შესაძლებლობა აქვს, ნახოს არიდული და სემიარიდული ეკოსისტემისათვის დამახასიათებელი უნიკალური ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები, აქვე მოწყობილია ადგილები ფრინველებზე დაკვირვებისათვის.

ღამის გათენება შესაძლებელია აღკვეთილის ადმინისტრაციულ შენობაში, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს 10-12 ადამიანის მიღებას.

ვიზიტორს რეგიონში აგრეთვე შესაძლებლობა აქვს მოინახულოს დავით-გარეჯის გამოქვაბულთა სამონასტრო კომპლექსი (ადრესაუკუნეები).

როგორ მოვხვდეთ ჭაჭუნას დაცულ ტერიტორიებზე?

დაცულ ტერიტორიაზე მოხვედრა შესაძლებელია სამარშუტო ტაქსით.

როგორ ჩავიცვათ ჭაჭუნას დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტისას?

სასურველია სპორტულად და თავისუფლად ჩაცმა, საველე შარვლის, სქელძირიანი ფეხსაცმის ტარება.

კონტაქტი: 877 10 18 11

ტურისტული სერვისი

- გიდის მომსახურება
- კარავი /დამატებით პარალონი/
- სასტუმროს ნომერი ვიზიტორთა ცენტრში
- საკარვე ადგილი
- საძილე ტომარა
- ზურგჩანთა

ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიები
(ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალი, ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი და ილტოს აღკვეთილი)

/შეიქმნა 1935 წ./

ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს აღმოსავლეთ. საქართველოში, ცენტრალური კავკასიონის სამხრე ფერდობზე. იგი მოიცავს მდინარე ბაწარას აუზს და მდინარე ილტოს შენაკადებს, მიეკუთვნება ახმეტის რაიონს.

- *მანძილი: ქ. თბილისიდან ახმეტამდე - 170კმ.*
- *დრო: ავტომობილით - 3სთ.*

ნაკრძალი გამოირჩევა ფლორის და ფაუნის მრავალფეროვნებით და მოიცავს წიფლნარ და შერეულ ტყეებს, სადაც შემორჩენილია უთხოვარის უნიკალური კორომი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ათასწლოვანი ეგზემპლარების არსებობა.

ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი მოიცავს მდ. სტორის მარჯვენა და მდ. ბაბანეურის მარცხენა შენაკადების აუზებს. მიეკუთენება ახმეტის რაიონს და მისი ადმინისტრაციული ცენტრი მდებარეობს სოფ. ბაბანეურში. აქ არსებული ტყეები წარმოდგენილია რცხილნარით და ჯაგრცხილნარით, რომლის ერთ-ერთ დომიმანტს ქმნის ძელქვა და ნაკრძალის შექმნის მიზანი სწორედ ამ რელიქტიური კორომების დაცვა და შენარჩუნებაა.

ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე ნებადართულია მხოლოდ სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი, ვიზიტორთა დაშვება ეკო-განათლების მიზნით.

რეგიონის სასტუმროები:

- საოჯახო სასტუმრო „სტუმარ-მასპინძელი“, პანკისის ხეობაში, ერთსართულიანი, ოთხსაძინებლიანი სახლი. ერთდროულად შესაძლებელია 8 ვიზიტორის მიღება. შესაძლებელია აგრეთვე ცხენების დაქირავება გამყოლით. მის: სოფ. ბირკიანი. დაჯავშნა - ტელ.: 899 18 67 59.
- საოჯახო სასტუმრო „ალვანის ველი“ - ქვემო ალვანი შესაძლებელია 8 ვიზიტორის მიღება. დაჯავშნა - ტელ.: 899 36 98 16.

ახმეტის რაიონში ვიზიტორს შეუძლია მოინახულოს მნიშვნელოვანი ისტორიული საკათედრო ტაძარი ალავერდი (XII-XVIII ს.ს.).

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
ქ. ახმეტა, სოფ. ზემო ალვანი.
ტელ.: 877 96 11 99.

დაწვრილებით ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე:
www.batsara.ge

იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიები

/შეიქმნა 2007 წ./

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები მდებარეობს წყალტუბოს, თერჯოლის, ტყიბულისა და ხონის რაიონებში და მოიცავს: სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალს, ყუმისთავის მღვიმის, თეთრი მღვიმის, ხომულის მღვიმის, ცუცხვათის მღვიმოვანის, ნავენახევის მღვიმის, ნაგარევის მღვიმის, იაზონის მღვიმის, საკაჟიას მღვიმის, წყალწითელას ხეობის, ოკაცეს კანიონისა და ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლებს. იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიები შეიქმნა სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალის ბაზაზე. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, წყალტუბოს რაიონში.

- *მანძილი: ქ. თბილისიდან ნაკრძალამდე - 260 კმ, ქ. ქუთაისიდან ნაკრძალამდე - 10 კმ; ხოლო ქ. წყალტუბოდან - 12კმ.*
- *დრო: ავტომობილით - 4სთ.*

სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი საქართველოს მრავალფეროვანი და მეტად იშვიათი ძეგლია. იგი კომპლექსური ხასიათისაა და შეიცავს გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, სპელეოლოგიური და ბოტანიკური ხასიათის ძეგლებს. სათაფლიის მთამ სახელი გაითქვა თავისი იშვიათი და ულამაზესი გამოქვაბულებით. ტერიტორიაზე არის კარსტული მღვიმე და გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავლის - დინოზავრის ნაკვალევი.

სათაფლიის დასათვალიერებლად საკმარისია ერთდღიანი მარშრუტი.

ვიზიტორს რეგიონში შეუძლია მოინახულოს მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლები: გელათის სამონასტრო კომპლექსი (XII-XVIII ს.ს.), ბაგრატის ტაძარი (X-XII ს.ს.)

ქ. ქუთაისთან და ქ. წყალტუბოსთან მანძილის სიმცირის გამო ვიზიტორს შესაძლებლობა ეძლევა, ეწვიოს ამ ქალაქების ნებისმირ სასტუმროს.

რეგიონის სასტუმროები:

- სასტუმრო „აია“ - ტელ.: 8(231) 2 3676;
- სასტუმრო „ტირიფები“ - ტელ.: 8(231) 7 6752;
- სასტუმრო „ვარციხე“ - ტელ.: 8(231) 4 1550;

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
ქ. წყალტუბო, სოფ. ბანოჯა. ტელ.: 877 10 18 06.

ალგეთის ეროვნული პარკი

/შეიქმნა 1965 წ./

ალგეთის ეროვნული პარკი მდებარეობს თეთრიწყაროს რაიონში. მისი საერთო ფართობია 6822 ჰა. რელიფი მთა-გორიანია და ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაფარულია როგორც წიწვოვანი, ასევე ფოთლოვანი ტყით. საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 1000-1900 მ-ია. უმაღლესი წერტილი კლდე-კარი -1950 მ.

ეროვნული პარკი განლაგებულია თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე მდ. ალგეთის სათავეებში. ის შექმნილია ნაძვის და კავკასიური სო-ჭის უკიდურესი აღმოსავლეთის საზღვრის დაცვის მიზნით.

- *მანძილი: ქ. თბილისიდან ალგეთის ნაკრძალამდე - 60 კმ.*
- *დრო: ავტომობილით მგ ზავრობისას - 2 სთ.*

ეროვნული პარკის ტერიტორია მდიდარია უნიკალური და იშვიათი ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებით. მცენარეებიდან აღსანიშნავია: დათვის თხილი, ქართული თხილი, მაღალმთის მუხა, ქაცვი, კავკასიური გლერძი, თელები, რომელიც შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“. ფაუნის წარმომადგენლებიდან კი გვხვდება: დათვი, მგელი, მელა, ფოცხვერი, შველი, გარეული ღორი, კურდღელი, კავკასიური როჭო, ბექობის არწივი, გნოლი და სხვა.

ალგეთის ეროვნული პარკი წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების მნიშვნელოვან ბაზას. მას გააჩნია აგრეთვე რეკრეაციულ-კურორტოლოგიური, წყალ-შემნახავი და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა.

ვიზიტორს საშუალება აქვს, მოინახულოს მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლები: არსენას გამოქვაბული, მანგლისის სიონის მო მედი ეკლესია, წმ.გიორგის მოქმედი ეკლესია.

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
დაბა მანგლისი, კურორტის ქ. 4;
ტელ.: 877 10 18 01.

მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალი და ყორულის აღკვეთილი

/შეიქმნა 1935 წ./

მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს საგარეჯოს რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ყორულის აღკვეთილი მდებარეობს ასევე საგარეჯოს რაიონში. ძირითადად წარმოდგენილია იორისპირა ჭალის ტყით და შესაბამისად ამ ტიპის ტყისათვის დამახასიათებელი ფლორითა და ფაუნით.

- *მანძილი: თბილისიდან საგარეჯომდე - 50 კმ.*
- *დრო: ავტომობილით მგზავრობისას - 1 სთ.*

ნაკრძალი შექმნილია კავკასიური რელიქტის - კავკასიური ფიჭვის კერის დაცვის, შენახვისა და მასზე მეცნიერული კვლევის წარმოების მიზნით.

აქ 50-მდე სახეობის ხე და ბუჩქნარია გავრცელებული. ძირითადად გვხვდება მერქნიანი მცენარეების შემდეგი სახეობები: წიფელი, მუხა, რცხილა და ფიჭვი. ტყე წარმოდგენილია ნაყოფის მომცემი ჯიშებისაგან: შინდი, ზღმარტლი, კუნელი, თხილი, მაყვალი და სხვა. ძუძუმწოვრებიდან კი აღსანიშნავია შემდეგი სახეობები: შველი, დათვი, კვერნა, მაჩვი, ტყის კატა, მელა, კურდღელი, კავკასიური ციყვი. გვხვდება ასევე ფრინველთა დაახლოებით 34 სახეობა: კავკასიური სკვინჩა, შავი შაშვი, ღობემძვრალა, ქედანი, ოფოფი, გუგული, ძერა, ტყის ბუ, მწვანე კოდალა, მიმინო და სხვა.

მარიამჯვარის ნაკრძალის ტერიტორიის მონახულება შესაძლებელია მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნით.

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
ქ. საგარეჯო, მამისაშვილის ქ. №22;
ტელ.: 877 10 18 08.

ყაზბეგის ეროვნული პარკი

/შეიქმნა 1976 წ./

ყაზბეგის ეროვნული პარკი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ცენტრალურ კავკასიონზე ყაზბეგის რაიონში.

- *მანძილი: ქ. თბილისიდან სტეფანწმინდამდე - 150 კმ.*
- *დრო: ავტომობილით მგზავრობისას - 3 სთ.*

ვიზიტორს აქ შეუძლია მოინახულოს მრავალფეროვანი და იშვიათი, ალპური და სუბალპური მცენარეების სახეობები, ცხოველები.

კარგად არის განვითარებული კულტურული ტურები დარიალის ხეობაში, მთამსვლელობა ორწვერზე, მყინვარწვერსა და ჭაუხის მწვერვალებზე, ფოტო-ვიდეო, ფრინველებზე დაკვირვებისა და ბოტანიკური ტურები, საცხენოსნო და ფეხით სასიარულო ტურები სნოს, თრუსოს, ხდის, კიბისა, გველეთისა და დევდორაკის ხეობებში, ბურსაჭირისა და საძელეს უღელტეხილებზე; მთამსვლელობა ჯიმარას, აბანოს, შავანას, მაილისა და წითიხოხის მყინვარებზე.

დაბა სტეფანწმინდაში არსებობს კეთილმოწყობილი სასტუმრო. კარგად არის განვითარებული საოჯახო სასტუმროები, სადაც წინასწარი დაჯავშნის გარეშეც კვება და კომფორტული ღამის გასათევი უზრუნველყოფილია. სოფ. გერგეტში მდებარეობს მოგზაურთა თავშესაფარი.

ვიზიტორს ეროვნულ პარკსა და მის დამხმარე ზონაში შეუძლია მოინახულოს მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლები: ხურთისის ტაძარი და კოშკი, ფხელშის წმ. გიორგის ეკლესია (XI ს.), გერგეტის XIV საუკუნის გუმბათიანი ეკლესია.

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
ყაზბეგის რაიონი, დაბა სტეფანწმინდა.
ტელ.: 877 96 11 88.

აჯამეთის აღკვეთილი

/შეიქმნა 1946 წ./

აღკვეთილი მდებარეობს ბაღდათისა და ზესტაფონის რაიონის ტერიტორიაზე. აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალი შეიქმნა მესამეული პერიოდის იშვიათი რელიქტების იმერეთის მუხის და ძელქვის შენარჩუნების მიზნით. 2007 წელს მას მიენიჭა აღკვეთილის სტატუსი.

- *მანძილი: ქ. თბილისიდან ნაკრძალამდე - 265 კმ.*
- *დრო: ავტომანქანით - 4 სთ.*

აღკვეთილში შესაძლებელია ფოტო-ვიდეო და ეკოლოგიური ტურების, ფრინველებზე დაკვირვებისა და ბოტანიკური ტურების ორგანიზება, ეთნოლოგიური და ღვინის ტურების მოწყობა ზემო იმერეთის სოფლებში.

ვიზიტორს შეუძლია, ეწვიოს ქ. ქუთაისის როგორც ტურისტულ, ასევე საოჯახო სასტუმროებს, სადაც წინასწარი დაჯავშნით კვება და კომფორტული ღამის გასათევი უზრუნველყოფილია. ინფორმაცია მითითებულია სამოგზაურო სახელმძღვანელოებში, აგრეთვე დაჯავშნა შესაძლებელია ტურისტული სააგენტოების მეშვეობით.

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
ბაღდათის რაიონი, სოფ. ვარციხე;
ტელ.: 877 10 18 02.

ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი

/შეიქმნა 1977 წ./

ნაკრძალი მდებარეობს ცხინვალის რაიონის ტერიტორიაზე.

- *მანძილი: ქ. თბილისიდან ნაკრძალამდე - 120 კმ.*
- *დრო: ავტომობილით - 3 სთ.*

ნაკრძალის ტერიტორია მოიცავს მდინარე ლიახვის აუზს, სადაც ბინადრობს მდინარის კალმახი. ნაკრ-ძალში ძირითადად დომინირებს ქართული მუხისა და წიფლის ტყეები და მისი შექმნის მიზანიც სწორედ ამ უნიკალური სახეობების დაცვა და შენარჩუნებაა. ფაუნის წარმომადგენლებიდან აღსანიშნავია: მაჩვი, წავი, თეთრგულა კვერნა, ტყის კვერნა, მურა დათვი, მგელი, მელა, ირემი, არჩვი და სხვა...ნაკრძალის ტერიტორიაზე დაშვებულია ვიზიტორთა მიღება მხოლოდ საგანმანათლებლო თვალსაზრისით. ვიზიტორს მიმდებარე რაიონში (ქ. გორი) შეუძლია, მოინახულოს მნიშვნელოვანი კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი უფლისციხე (ძვ.წ.აღ. I ათასწლეული), ატენის გუმბათიანი ტაძარი (VII ს.).

ადმინისტრაციული შენობის მისამართი: გორის რაიონი, სოფ. ანრისხევი;
ტელ.: 877 10 18 04.

იორის აღკვეთილი

/შეიქმნა 1965 წ./

იორის აღკვეთილი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სიღნაღის ტერიტორიის ნაწილზე, მდინარე იორის დაბლობზე და ორივე მხრიდან შემოსაზღვრულია გორაკიანი მცირე ქედებით. აღკვეთილის საერთო ფართობი შეადგენს 1336 ჰა-ს. იგი შეიქმნა სასარგებლო სანადირო ფაუნის გა რავლებისა და განსახლებისათვის.

- *მაძილი: ქ. თბილისიდან აღკვეთლამდე – 185 კმ.*
- *დრო: ავტომობილით – 3 სთ.*

აღკვეთილის მცენარეული საფარი წარმოდგენილია ტუგაის ტიპის ჭალის ტყეებით. ტუგაის ტყე ძლიერ დეგრადირებული და გამეჩხერებულია. დიდი გავრცელება აქვს ბუჩქნარებს. ივრის პირზე დაჭაობებულ ადგილებში გვხვდება ჭაობის მცენარეულობა: გრძელყუნწა მუხა, თეთრფოთოლა ვერხვი, ტირიფი, ჩვეულებრივი თელა და სხვა. ბუჩქნარებიდან: იალ-ღუნი, ფშატი, ასკილი, მაყვალი, კოწახური და სხვა. ფაუნის წარმომადგენლებიდან აღკვეთილის ტერიტორიაზე ბინადრობს: მგელი, ტურა, მელა, გარეული ღორი, გარეული კატა, კურდღელი. ფრინველებიდან ბინადრობს: კოლხური ხოხობი, კაკაბი, დურაჯი, ქედანი, გვრიტი, შაშვი და სხვა. მტაცებელი ფრინველებიდან გვხვდება: შევარდენი, მიმინო, ველის არწივი და სხვა. რეგიონში შესაძლებელია მრავალი ისტორიულ-კულტურული ძეგლების ნახვა: სიღნაღის ისტორიული მნიშვნელობის ქალაქი, ბოდბეს წმ. ნინოს მონასტერი.

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
სიღნაღის რაიონი, სოფ. ნუკრიანი.
ტელ.: 977 10 18 09.

გარდაბნის აღკვეთილი

/შეიქმნა 1957 წ./

გარდაბნის აღკვეთილი მდებარეობს გარდაბნისა და მარნეულის ადმინისტრაციული რაიონების ტერიტორიაზე. მისი საერთო ფართობია 3484 ჰა. აღკვეთილი შეიქმნა ამ ტერიტორიაზე არსებული ტყის კორომთა მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით.

- *მანძილი: ქ. თბილისიდან - 39 კმ.*
- *დრო: ავტომობილით - დაახლოებით 1 სთ.*

აღკვეთილისათვის დამახასიათებელია ჭალის ტყის ტიპი. აქ გავრცელებულია ვერხვნარ-ტირიფნარები, ვერხვნარ-მუხნარები, მუხნარ-თელნარები. აღკვე- თილი მდიდარია ასევე ფაუნის წარმომადგენლებით, რომელთა- განაც აღსანიშნავია: ირემი, გარეული ღორი, კურდღელი, მგელი, ტურა, გარეული კატა, კვერნა, მაჩვი, მელა და სხვა. ფრინველებიდან გვხვდება: შაშვი, გვრიტი, ჩხიკვი, ნიბლია, ყვავი, კაჭკაჭი, ოფოფი, ჩიტბატონა, ბულბული და სხვა. მდინარე მტკვარში, რომელიც ჩამოედინება აღკვეთილის ტერიტორიაზე, გვხვდება: კობრი, კაპარჭინა, ლოქო და სხვა. ქ. თბილისთან სიახლოვის გამო ვიზიტორს შესაძლებლობა აქვს, ღამის გასათენებლად ეწვიოს ქ. თბილისი ნებისმიერ სასტუმროს.

ადმინიგრაციული შენობის მისამართი:
ქ. გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №127;
ტელ.: 877 10 18 05.

კაცობურის აღკვეთილი

/შეიქმნა 1964 წ./

კაცობურის აღკვეთილი მდებარეობს აბაშის რაიონის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში. მისი საერთო ფართობი შეადგენს 295 ჰა-ს. აღკვეთილის ტერიტორია ძირითადად ვაკეა. მისი მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 40 მეტრს არ აღემატება.

- *მანძილი: ქ. თბილისიდან - 300 კმ.*
- *დრო: ავტომობილით - 5,5 სთ.*

ტყით დაფარული ფართობის გაბატონებული ჯიშებია: თეთრი აკაცია, თხმელა, ტირიფი, პანტა, ტყემალი, ფშატი და ამორფა. ფაუნის წარმომადგენლებიდან აქ გვხვდება: გარეული ღორი, კურდღელი, ტურა, კატა, მაჩვი, წავი, შველი, ხოხობი, ქედანი, გარეული იხვი, ყვინთა იხვი, რუხი ყანჩა, მიმინო, ქორი, სკვინჩა და სხვა.

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
ქ. აბაშა, კაცობური. ტელ.: 877 10 18 46.

თბილისის ეროვნული პარკი

/შეიქმნა 2007 წ./

თბილისის ეროვნული პარკი მდებარეობს თბილისის ჩრდილო- აღმოსავლეთით, საგურამო-იალნოს ქედზე, დედაქალაქიდან სულ რაღაც 20 წუთის სავალ მანძილზე. იგი მოიცავს მარტყოფის, გლდანის, ცხვარიჭამიას, ღულელების ტყე-პარკებს, მამკოდის მემორიალურ პარკს. მისი საერთო ფართობი შეადგენს 24 044 ჰა-ს.

- *მანძილი: ქ.თბილისიდან - 10კმ.*
- *დრო: ქ.თბილისიდან - 20-30წთ.*

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორია მთაგორიანია. მისი რელიეფი დანაწევრებულია ხეობებითა და მდინარეებით. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აგრეთვე შექმნილია 76-მდე ხელოვნური ტბა და წყარო.

თბილისის ეროვნული პარკი გამოირჩევა ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით. ის წარმოდგენილია არიდული, სემიარიდული ეკოსისტემების, მთისა და მთისწინა კალთების კოლხური ფლორის ელემენტებით. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული არის 630-მდე სახეობის ბალახოვანი თუ მერქნიანი მცენარე. ტყით დაფარულ ტერიტორიაზე გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს მუხით, წიფლით და რცხილნარით ჭარბ კორომებს. თბილისის პარკის ფლორის კონტრასტულობა იმითაა ღირს - შესანიშნავი და საინტერესო, რომ აქ გავრცელებული არის კოლხური ფლორის ისეთი წარმომადგენლები, როგორიცაა: კოლხური ჭყორი, კოლხური და პასტუხოვის სურო, პონტური თაგვისარა, ბზა და სხვა.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შესაძლებელა როგორც სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება, აგრეთვე კემპინგი, დასვენება, რაშიც ვიზიტორს ხელს უწყობს პარკის მშვენიერი პეიზაჟები და ზღაპრული ფერები. პარკიდან იშლება ბუნების მომხიბლავი სურათები, ხელისგულივით მოსჩანს მცხეთა, არაგვის ხეობა, თოვლით დაფარული კავკასიონის მთების პანორამა და მათ შორის ყაზბეგი.

თბილისის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე დიდწლოვანი წიფლნარების გარდა უნიკალური არქიტექტურული ისტორიულ-კულტურული ძეგლების ნახვაც არის შესაძლებელი: ღვთაების მონასტერი, მარტყოფის ველი (1623წ. ბრძოლა), არჩილის მონასტერი, წმ. გიორგის მონასტერი, სვეტიცხოველის გუმბათიანი ტაძარი (XIს), მცხეთის ჯვრის ტაძარი (VI-VIIს.ს.), ზედაზენის ეკლესია (VIIVIIIს.ს.), არმაზის ხეობა. ზედაზენზე ასვლა შესაძლებელია წინამურიდან და ავჭალიდან საცალფეხო ბილიკებითაც.

თბილისსა და ეროვნულ პარკს შორის მანძილის სიმცირის გამო ვიზიტორისთვის პარკის დათვალიერება და დასვენება ბევრად უფრო კომფორტული ხდება. აგრეთვე ვიზიტორს შესაძლებლობა აქვს ეწვიოს თბილისის ან მცხეთის ნებისმიერ სასტუმროს.

ადმინისტრაციული შენობის მისამართი:
ქ. მცხეთა, სოფ. საგურამო;
ტელ.: 877 10 18 07.

ფსხუ-ჰუმისთის ნაკრძალი

/შეიქმნა 1978წ./

ფსხუ-ჰუმისთის ნაკრძალი მდებარეობს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ნაკრძალი შეიქმნა აფხაზეთში არსებული ხელუხლებელი წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეების ბიომრავალფეროვნებისა და ჭარბტენიანი ტყის მონაკვეთების დაცვის მიზნით. ნაკრძალის საერთო ფართობია 40 734 ჰა.

- *მანძილი: ქ.თბილისიდან ქ.სოხუმამდე - 445კმ.*
- *დრო: ქ.თბილისიდან ქ.სოხუმამდე - 5-6სთ.*

ფსხუ-ჰუმისთის ნაკრძალი შედგება ჰუმისთის, ფსხუსა და სკურჩის ნაკძალებისგან. ჰუმისთისა და ფსხუს ნაკრძალები ძირითადად მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთი ფერდობების ტყეებს მოიცავენ, ხოლო სკურჩის ნაკრძალი მცირე ტერიტორიაზეა განლაგებული შავის ზღვის ვაკის ზონაში (ოჩამჩირის რაიონი), სადაც შემონახულია მესამეული პერიოდის ტყის ნარჩენები.

ნაკრძალის ტერიტორია თითქმის მთლიანად არის დაფარული ტყით, რომელიც ხასიათდება რელიქტური სახეობებით. ჰუმისთის ფლორა საკმაოდ მრავალფეროვანია და 484 სახეობისგან შედგება. ნაკრძალის ტყეებში ძირითადად გაბატონებულია აღმოსავლეთის წიფლის, წაბლის, კავკასიის სოჭის, რცხილის, მურყანის, კავკასიის ცაცხვის, კოლხური ბზის კორომები; აგრეთვე გვხვდება უთხოვარი.

ბიომრავალფეროვნების არანაკლები ნაირგვარობით ხასიათდება ფსხუს ნაკრძალის ტყემცენარეულობა. ეს ნაკრძალი საქართველოს ნაკრძალებს შორის ყველაზე ახალგაზრდაა. იგი შეიქმნა 1978 წელს. ნაკრძალის ტყის ეკოსისტემების მთავარი ღირსება და უნიკალურობა წიფლისა და სოჭის ხელუხლებელი კორომებია. მდ. ბზიფისა და სხვა ტერასებსა და ჭალებში გავრცელებულია მურყნარები. სკურჩის ნაკრძალის ტერიტორიაზე ხეების, ბუჩქებისა და ლიანების 30-მდე სახეობა იზრდება. ნაკრძალის შექმნის მთავარი მიზანი მესამეული პერიოდის ძვირფასი მერქნიანი რელიქტებისა და კოლხური ფლორის ისეთი წარმომადგენლების დაცვა და გამრავლება იყო, როგორებიცაა: კოლხური ბზა, ლეღვი, ჰარტვისის მუხა, ლაფანი, კოლხური ჯონჯოლი, პონტოური დეკა და სხვა.

რიწის სახელმწიფო ნაკრძალი

/შეიქმნა 1946წ./

რიწის სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გუდაუთის რაიონში, კურორტ გაგრიდან 60 კმ-ის დაშორებით. იგი განლაგებულია მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ განშტოებაზე, ტბა „რიწის" გარშემო. ჩრდილოეთითა და ჩრდილო დასავლეთით ნაკრძალს ესაზღვრება ალპური საძოვრები. ნაკრძალის საერთო ფართობი შეადგენს 16 229 ჰა-ს.

- *მანძილი: ქ.თბილისიდან ქ.სოხუმამდე - 445კმ.*
- *დრო: ქ.თბილისიდან ქ.სოხუმამდე - 5-6სთ.*

რიწის სახელმწიფო ნაკრძალი შეიქმნა რიწის ტბისა და მისი მიდამოების რელიქტური ტყეების დასაცავად. ნაკრძალის ტერიტორია საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი რელიეფით ხასიათდება. ნაკრძალის ტერიტორიის 91%-ზე მეტი ტყის ნაირგვარი ბიოლოგიური მრავალფეროვნების მქონე ეკოსისტემებით არის წარმოდგენილი. აქ გვხვდება: კავკასიური სოჭის ტყეები, წიფლით გაბატონებული კორომები, მუხნარები, ფიჭვნარები, ნაძვნარები, რცხილნარები, ნეკერჩხლიანები, მუხნარები, არყნარები, ცაცხვნარები და ა.შ. ნაკრძალში დაახლოებით 590 ჰა-ზე კოლხური ბზის მნიშვნელოვანი შენარევების შემცველი კორომებია გავრცელებული. ცხოველთა სამყარო საკმაოდ მრავალფეროვანია. აქ გვხვდება კავკასიური ირემი, შველი, არჩვი, დასავლეთ კავკასიური ჯიხვი, გარეული ღორი, ტყის კვერნა, მაჩვი, დათვი, მგელი, მელა, ფოცხვერი და სხვა. ფრინველებიდან აღსანიშნავია კავკასიური როჭო, დიდი

რაოდენობით მგალობელი ბეღურასნაირები; გვხვდება ისეთი მტაცებელი ფრინველები, როგორიცაა: ფასკუნჯი, ორბი, სვავი. ქვეწარმავლებიდან აღსანიშნავია: კავკასიური გველგესლა, წენგოსფერი მცურავი, წყლისა და ჩვეულებრივი ანკარა, კლდისა და მარდი ხვლიკი; ამფიბიებიდან - სავარცხლიანი ტრიტონი, ტბისა და მცირეაზიური ბაყაყი, ჩვეულებრივი ვასაკა, მწვანე გომბეშო. რიწის სახელმწიფო ნაკრძალი ეკუთვნის შიდა მთიან მხარეს, რომლის კლიმატური პირობები, ნიადაგი, მცენარეული საფარი და საერთო ლადშაფტები მნიშვნელოვნად განსხვავდება ზღვისპირა მხარის ლანდ- შაფტებისაგან. რიწის ნაკრძალი დასერილია მდინარე ლაშიფის, იუშფარასა მათი შენაკადების ხეობებით. ვიწრო და ღრმა ხეობების ირგვლივ ამფითეატრისებურად არის გაჭიმული მთები. მდინარე ლაშფსე და იუშფარას დინების მიმართულებით, ზღვის დონიდან 950 მ სიმაღლეზე მდებარეობს რიწის ტბა, რომლის სიღრმე 100 მეტრია. სანაპირო ხაზის პერიმეტრი კი 6 კმ-ია.

ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალი

/შეიქმნა 1946წ./

ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალი შეიქმნა ბიჭვინთის რელიქტური და კოლხეთის ფართოფოთლოვანი ტყეების დაცვის მიზნით.

- *მანძილი: ქ.თბილისიდან ქ.სოხუმამდე - 445კმ.*
- *დრო: ქ.თბილისიდან ქ.სოხუმამდე - 5-6სთ.*

ნაკრძალის ცალკეული ნაწილები როგორც რელიეფით, ასევე გეოლოგიური აღნაგობით, მცენარეულობით, ნიადაგის საფარითა და ა.შ. ერთმანეთისაგან განსხვავდება, რაც თავის მხრივ, ნაკრძალის მცენარეულობის ბიომრავალფეროვნებას განსაზღვრავს. ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალი ორი ნაკვეთისაგან შედგება. ბიჭვინთის ნაწილი მდებარეობს ბიჭვინთის კონცხზე, შავი ზღვის სანაპიროზე ქ. გაგრის მახლობლად.

ნაკვეთის ფართობია 347 ჰექტარი. მიუსერის ნაკვეთი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, ბიჭვინთის სამხრეთით. ნაკრძალის რელიეფი მთაგორიანია. ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალის ტყეები ძირითადად სუბტროპიკული ზონის შერეული ტყეებით არის წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს დაახლოებით 92 სახეობისა ხე-მცენარესა და ბუჩქს. აქედან 28 სახეობის მცენარე „წითელ წიგნში“ შეტანილ სახეობას წარმოადგენს. ნაკრძალის ტყეები შეიძლება ცალკეულ ეკოსისიტემებად დაიყოს. აქ გვხვდება, როგორც ბიჭვინთის ფიჭვნარი, აგრეთვე ლიზავისა და მიუსერის ფართოფოთლოვანი ტყის ეკოსისტემებად გავრცელებულია ენდემური დენდროფლორის ისეთი უნიკალური მერქნიანი სახეობები, როგორიცაა: ენდემური ბიჭვინთის ფიჭვი, კოლხური ბზა, ლაფანი, კოლხური სურო, კავკასიური ცაცხვი, ქართული და ჰარტვისის მუხები.

ძუძუმწოვრებიდან აქ გვხვდება: შველი, ირემი, გარეული ღორი, ბიგა, თხუ-ნელა, ზღარბი, კურდღელი, ტყის თაგვი; მტაცებლებიდან - თრითინა, მურა დათვი, ტყის კვერნა, მაჩვი, მგელი, მელა, ტურა, ფოცხვერი.

ფრინველებიდან აღსანიშნავია: კავკასიური ჩხიკვი, კავკასიური სტვენია, შაშვი, ჩიტბატონა, ტოროლა, გვრიტი, გარეული მტრედი, მოლაღური, გადაფრენის დროს კი - გარეული ბატი, იხვი, ტყის ქათამი.

რეპტილიებიდან აღსანიშნავია - კავკასიური გველგესლა.